დანართი №2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივლისის №797458 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8).
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 15 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ქ. ქუთაისში.
წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს.
ავტორიზაციის ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი, დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.
დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო განათლებაში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	თსუ რექტორის ბრძანება №168/01-01 (26.06.2024)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თსუს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, რაც დასტურდება იმით, რომ თსუ-ს მისია არ ზღუდავს დასამატებელი პროგრამის პროფილს, მისი სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზნად, კერძოდ 1.8. აქტივობად განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების ცენტრის სამოქმედო გეგმაც და მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს - შრომის ბაზრის მოთხოვნათა და მისი გამოწვევების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების ცენტრის სტრატეგიული გეგმის (2024-2030წ.წ.) ახალი პროექტი, რომლითაც დასტურდება რომ ცენტრის მისიაა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის ფარგლებში უზრუნველყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული განათლება, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ კადრებს სწრაფად ცვალებად დასაქმების გარემოში, ხელს შეუწყობს ინდივიდის პიროვნული, სამეწარმეო უნარების განვითარებას და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.
   აღნიშნული ადასტურებს, რომ პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. თსუს მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. თსუ-ში შემუშავებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ პროფესიულმა პროგრამამ შესაძლებელია იმუშაოს ორ ცვლაში. პროფესიული პროგრამის "საექთნო განათლება " A–B-C გარემო იძლევა შესაძლებლობას ერთ ცვლაში ისწავლოს 20 პროფესიულმა სტუდენტმა, ორ ცვლაში 40 პროფესიულმა სტუდენტმა. ხოლო პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დარეგულირებულია ხელშეკრულებებით. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი. აღნიშნული გადამოწმდა ,,საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც სასწავლო, ისე მატერიალური რესურსების ფლობა. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A, B და C გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისად. ექსპერტების მიერ ასევე გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. დადგინდა რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
   გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება" არ მოიცავს არჩევითი მოდულებს. **ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია.**
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, რექტორის მიერ, რაც დასტურდება დაწესებულების აკადემიური საბჭოს №96/2019 დადგენილებით „თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის" შესაბამისად. მაში აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია თსუ-ს რექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება" დამტკიცებულია თსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 ივნისის ბრძანებით №168/01-01. **აღნიშნულის შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
7. განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო განათლება" სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე, მისაღწევი სწავლის შედეგებს. აქედან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი და **ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
8. თსუ-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება" შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საექთნო განათლება / Nursing უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია და დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ", საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" და არეგულირებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თსს-ს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდირებულ მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (180 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 210 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა სასწავლო თვე 30 (128 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 36 სასწავლო თვე (148 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს, მათ შორის ლოგიკურსაც, დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
- რექტორის 2024 წლის 8 ივლისის №178/01-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
- „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2030 წ.წ.;
- თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის სამოქმედო გეგმა 2024წ;
- თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №95/2019 დადგენილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ თსუ რექტორის ბრძანება №168/01-01 (26.06.2024)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „საექთნო განათლება“;
- თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 დეკემბერს №07/85-07-01 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევში №8-ში განლაგებულ ფილიალში მოწყობილი აქვს A, B და C გარემო 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოებში განთავსებულია სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, საექთნო განათლების პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობა, რომელთა ფლობის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვიზიტის ფარგლებში და გადამოწმებული იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით ჯგუფების სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს 2 ცვლაში, თითო ცვლაში 20-20 პროფესიული სტუდენტი, სულ 40 პროფესიული სტუდენტი, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.
პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შემდეგ დაწესებულებებთან: „შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“(40 სტუდენტი, 26.06.2024წ ხელშ.მოქმედების ვადა 3 წელი), შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (მის.ქ. ხონი, სოფ.ქუტირი, 18-ე ქუა #1. ხელშ. გაფორმების თარიღი:20.06.2024წ. 40 სტუდენტი, მოქმედების ვადა 3 წელი); სს „საქართველოს კლინიკები“-ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალური (06.06.2024წ. 40 სტუდენტზე, მოქმედების ვადა 3 წელი). ყველა ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. წარმოადგინეს სამედიცინო დაწესებულებების ნებადართული საქმიანობის სანებართოები. პროპგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში.გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ პროფესიული პროგრამები მდგრადია და მისი წარმატებით განხორციელება ხელმისაწვდომია. პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა ინსტრუქტორებთან შეადგენს 1/7 შეფარდებას, რაც დამაკმაყოფილებელია პრაქტიკის სპეციფიკიდანგამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სს „საქართველოს კლინიკები“-ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალური მიმდინარეობს შემდეგი მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

2.შპს ფსიქიკური ჯამრთელობის ეროვნული ცენტრი

- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

კლინიკას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

3. „შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“

- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები .

დაწესებულებაში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების ავად მოვლის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), შშმ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ პროფესიული პროგრამები მდგრადია და მისი წარმატებით განხორციელება ხელმისაწვდომია.

დაწესებულებაში გარდა განხორციელდება შემდეგი მოდულების პრაქტიკული ნაწილი:

- ავადმყოფის მოვლა.
- შინმოვლა;

დაწესებულების დოკუმენტაციის ანალიზის, წარმომადგენლებთან გასაუბრების და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 40 პროფესიული სტუდენტისთვის და **ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 53 მასწავლებელი, აქედან 7 განახორციელებს ზოგად, ხოლო 46 - პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი ან მეტი განმახორციელებელი პერსონალი. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და **ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით, რომელსაც ახორციელებენ გარკვეული პერიოდულობით“. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარებული აქვთ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგები. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და **ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „საექთნო განათლებაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური ექთანი და აქვს სწავლების გამოცდილება დაწესებულებაში არსებული მსგავსი პროგრამის ფარგლებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაში, აქვს კონკრეტული და ნათელის ხედვა როგორ განახორციელოს პროგრამა, მონაწილეობდა პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართული იქნება ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია**.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ქუთაისის ფილიალის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.
საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ სამკითხველოდ გამოყოფილ სივრცეში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დაწესებულებას აქვს წვდომა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) სერვისთან, რომელსაც პროგრამის განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები გამოიყენებენ პროგრამის მიმდინარეობისას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
   თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს სპეციფიკის განსაზღვრა მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მოდულს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სსსმ პირების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პორცესში, მათ შორის ხელმისაწვდომობას ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე. ცენტრის ქუთაისის ფილიალში ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან და მათი განმარტებით სსსმ პირებს ექნებათ ადმინისტრაციის მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში შენობის პირველ სართულზე გამოყოფილ ოთახში გაეწევათ ადმინისტრაციული და საბიბლიოთეკო მომსახურება, რადგან ცენტრის მხოლოდ პირველი სართულია ადაპტირებული. ასევე, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს სამომავლოდ შენობის სრული ადაპტირების საკითხზეც. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
   საგანმანათლებლო პროგრამაზე "საექთნო განათლება" გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის (ერთ ცვლაში 20 პროფესიული სტუდენტი) გათვლით ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება სულ 82 900 ლარს შეადგენს, რომელიც განაწილებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურებაზე, პროგრამის განხორციელებისთვის საწრო მასალა-ნედლეულისა და სხვა საჭირო ხარჯებზე,
   პროფესიული პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 13 პროფესიულ სტუდენტს. ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას და **ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები სრულადაა დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება";
- თსუ რექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება" დამტკიცების შესახებ N168/01-01 (26.06.2024)
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის დანართი (პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები და წინარე ხელშეკრულებები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თსუ პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებულად და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს. დაწესებულებაში პროგრამის განვითარების უზრუნველყოფა რეგულირებულია რექტორის 2024 წლის 08 ივლისის №178/01-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“, რომლის მე-8 მუხლის შესაბამისადაც, პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასება საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესი ითვალისწინებს: ა) დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევას, რომელიც ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ; ბ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წელიწადში ერთხელ; გ) პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვას, რომელიც ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. დ) საუკეთესო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო პრაქტიკის, დარგში არსებული უახლესი კვლევების შედეგების გაცნობას. ე) პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშის გაცნობას. ცენტრი უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას პროგრამაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თსუ, აქტიურად თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ადგილობრივ და საერთაშორისო დაწესებულებებთან, ტარდება ერთობლივი სამუშაო შეხვედრები და სემინარები, ხორციელდება გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ახალი იდეების გენერირება და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ტენდენციებისა და მდგომარეობის შესაბამისად სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვაზე მსჯელობა. ამ მიზნით თსუ პროფესიული განათლების ცენტრი ტანამშრომლიბს ესტონეთის, იდა ვირუმას პროფესიული განათლების ცენტრთან. არსებობს შეთანხმება, რომ პარტნიორებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაიწყება მუშაობა საერთაშორისო პროექტებზე. ამ მიზნით, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი გეგმავს, რომ პირველ ეტაპზე, იმუშავებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ერთობლივი პროგრამის შექმნისა და პროფესიული სტუდენტების/მასწავლებლების მობილობის საკითხებზე, ხოლო თანამშრომლობის მომდევნო ეტაპზე გააკეთებენ განაცხადს პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტით შესაბამისი დაფინანსების მოსაპოვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, გამოკითხვის შედეგებისა და პროგრამის ხელმძღვანელთა ანგარიშების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე, გასაუმჯობესებელი მიმართულებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით, ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. პროფესიული განათლების ცენტრი პროგრამების ხელმძღვანელებთან ურთიერთთანამშრომლობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. დაწესებულების ინფორმაციით, 2023-2024 სასწავლო წელს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრებზე გამოკვეთილი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, განახლდა რამდენიმე პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსი. ამჟამად, მიმდინარეობს სასწავლო გეგმების, შეფასების ინსტრუმენტის, კალენდარული გეგმისა და უწყისების ფორმათა მოდიფიცირება, დაიხვეწა და გაუმჯობესდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი და სპეციფიკა, გადაიხედა ისგ-ს საფუძველზე შექმნილი შეფასების ინსტრუმენტის ფორმა და შინაარსი. ამ ეტაპზე კვლავ მიმდინარეობს მოქმედი პროფესიული სტუდენტების, დამსაქმებლების და მასწავლებლების გამოკითხვა, რომელთა შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რექტორის 2024 წლის 08 ივლისის №178/01-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
- პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 დეკემბრის №08/85-07-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, რასაც ადასტურებს დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები და დოკუმენტაციის შესწავლა.
   პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ - შემუშავებულია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). გეგმის თანახმად პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 31- სასწავლო თვე (128 სასწავლო კვირა) ხოლო არა ქართველი სტუდენტებისთვის პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობა 37-სასწავლო თვეა (148 სასწავლო კვირა) სასწავლო გეგმით დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა. გეგმით განსაზღრულია ასევე ყველა მოდულისათვის,როგორც საკონტაქტო საათები ასევე საათები დამოუკიდებელი მუშაობისთვის და შეფასებისთვის.
   ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. თსუს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად“, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს, ჩატარებულ კონსულტაციებს. პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე პროფესიული განათლების ცენტრი სათანადოდ და დროულად რეაგირებს მათ ინტერესებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე; იგეგმება შესაბამისი აქტივობები/ღონისძიებები სასწავლო პროცესის, რესურსის, გარემოს შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის იგულისხმება: სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში (დილა-საღამოს), მოქნილი სასწავლო გეგმისა და საათობრივი დატვირთვის ბადის (ცხრილის) შემუშავება, ონლაინ სწავლების ფორმატი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ინდივიდუალური კონსულტაციები, დამატებითი მეცადინეობები, მობილობა, კრედიტების აღიარება და სხვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც დასტურდება იმით, რომ პროფესიულ სტუდენტებს ინდივიდუალური წვდომა ექნებათ საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულებით განსაზღვრულ სასწავლო მასალებთან, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასთან, ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული მასწავლებელი გამოიყენებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით მიაწვდის ჰენდაუთებს ელექტრონულ ლინკებს, ლიტერატურას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და დაეხმარება სტუდენტებს სასწავლო მასალის უკეთ გააზრებასა და ათვისებაში. ხოლო პრაქტიკის ობიექტებს თავად ევალებათ უზრუნველყონ სტუდენტები სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდების გასაცნობად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად პროფესიული მასწავლებლებისთვის მუდმივად ხორციელდება ტრენინგები, ვორქშოფები, მასტერკლასები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რასაც ადასტურებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმი და პროცედურები, ასევე განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, მის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობის, გამართულობის გადამოწმება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ მსგავსი საჭიროების მქონე სტუდენტთან ან/და მეურვესთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრების, გამოკითხვის ჩატარების გზით. ასევე, კონკრეტული ტიპის საჭიროებ(ებ)ის გამოვლენისას, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით, დამატებით უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი მომსახურების გაწევას. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შემდეგ დაწესებულებებთან: „შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“(40 სტუდენტი, 26.06.2024წ ხელშ.მოქმედების ვადა 3 წელი.), შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (მის.ქ. ხონი, სოფ.ქუტირი, 18-ე ქუა #1. ხელშ. გაფორმების თარიღი: 20.06.2024წ. 40 სტუდენტი, მოქმედების ვადა 3 წელი); სს „საქართველოს კლინიკები“-ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალური (06.06.2024წ. 40 სტუდენტზე, მოქმედების ვადა 3 წელი). ყველა ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სამედიცინო დაწესებულებების ნებადართული საქმიანობის დოკუმენტები. პროგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული პროგრამები მდგრადია და მისი წარმატებით განხორციელება ხელმისაწვდომია. პროფესიულ სტუდენტთა და ინსტრუქტორთა თანაფარდობა წარმოდგენილია 1/7 შეფარდებით. ექსპერტთა ჯგუფი შერჩევით იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე, სადაც შედგა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან, დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა კურსდამთავრებულთა დასაქმების მზაობა. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.4.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული პროგრამის მოდულები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულებაში, უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მიდგომებს არ საჭიროებს. საერთო უსაფრთხოებას სწავლებისას უზრუნველყოფს თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის დეპარტამენტებთან/სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, „თსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების“ შესაბამისად, უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას პროფესიული სტუდენტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისთვის. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელ პროფესიულ მოდულებს, მოდულების სპეციფიკიდან გამომდინარე, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და მათი დაცვა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტის მიერ. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა;
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №64/2021 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” (ცვლილება 02/10/2023 №93/2023);
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს №07-01/07გადაწყვეტილებით დამტკიცებული „თსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება“;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, რაც დასტურდება თსუს რექტორის 2022 წლის 15 ივლისის N214/01-01 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესით,“ რომელშიც დაწვრილებითაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა, რომლის მიზანია, განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის მიღწევების დონე და მისი შესაბამისობა დაგეგმილ შედეგებთან. ასევე, შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მიერ ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურას. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმება ხდება თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ; რამდენადაც აღნიშნულმა პროცედურებმა შესაძლებელია, სრულად ვერ უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, პროფესიული განათლების ცენტრმა ვერიფიკაციის შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა პროცედურა, რომლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს შეითანხმებს დარგის სპეციალისტი (რომელიც შეავსებს ინსტრუმენტის ვალიდაციის სპეციალურ ფორმას და დაადასტურებს ხელმოწერით), ხოლო დამატებით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი წელიწადში ერთხელ, რისკების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩეული პროგრამ(ებ)ის ვერიფიკაციას განახორციელებს დარგის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ვერიფიკაციის წესის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. თსუს რექტორის ბრძანებით 2023 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით №329/01-01 დამტკიცებულია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი“ სადაც დეტალურადაა გაწერილი ვერიფიკაციის პროცესი, ეტაპები და პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. წესის შესაბამისად, თსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულების ინფორმაციით, 2022-23 წლებში თსუ პროფესიული განათლების ცენტრში ვერიფიკაციის პროცესის წარმატებული პრაქტიკა დაინერგა. კერძოდ, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. თბილისის ლოკაციის ადამიანური რესურსის მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის გეგმა და შედეგები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება დაწესებულების რექტორის 2022 წლის 15 ივლისის N214/01-01 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია, რომ შეფასების ინსტრუმენტი, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები და მტკიცებულებები ცენტრში ინახება პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. თსუს „პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“ არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმს. პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენჯეჯერი აანალიზებს მათ მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შეიმუშავებს სტუდენტების შემდგომი განვითარების მექანიზმს; კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტების შესწავლის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების, გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე იცვლება და უმჯობესდება შეფასების ინსტრუმენტისა და კალენდარული გეგმების ფორმები, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დამატებითი კონსულტაციებით, საინფორმაციო შეხვედრებით როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე, დარგის მოწვეულ სპეციალისტებთან სხვადასხვა საჭიროებების მიმართულებებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტზე მეტად ორიენტირებული, ადაპტირებული, განმავითარებელი სასწავლო გარემოს შექმნას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

- თსუს რექტორის 2022 წლის 15 ივლისის N214/01-01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის წარმართვის, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების, დასრულებული შეფასების მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“;
- თსუს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №64/2021 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” (ცვლილება 02/10/2023 №93/2023);
- თსუს რექტორის ბრძანებით (№329/01-01 (19/12/2023)) დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი“;
- ვერიფიკაციის გეგმა;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.07.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: